

7/5 40
№ 11

საქართველოს
ბიბლიოთეკა



1927-1928



დღეს საბჭოეთის ქვეყნები, მზით გავსებული გულითა,
ერთად, ერთსხივად შემკული გრძნობების თაიგულითა,
შენი სიცოცხლის სამოც წელს ხვდებიან სიხარულითა,
ურცხვ მადლობას ვითვლიან სიმღერით, სიყვარულითა.

შენი სიცოცხლის ეს წლები და მისი წუთი ყოველი,
მშრომელი ჯალხის ბრძოლასთან შეზრდილი, განუყოფელი,
მუდამ გამირული წინსვლაა, მუდამ ბრძოლისკენ მხმობელი,
სიმათლის გამარჯვებაა, სიბნელის დამამხობელი.

ლენინთან ერთად გასქედე გულმტკიცე, ხმა-ცეცხლოვანი
ბოლშევიკების პარტია გამირული, სახელოვანი,
რომ გავეფანტათ ბნელეთი,—მუქთახორების ხროვანი,
ხალხში მხედ ამოსულიყო ქვეყნის დარდი და გლოვანი.

დაემხო იგი სამყარო, მუდამ სისხლისა მდომელი,
აზრების, თავისუფლების დამხრჩობი, დაუნდობელი,
აღსდგა ახალი ქვეყანა, მსგავსი სად არის, რომელი,
ჰაერით, ზღვით და ხმელეთით მტრისთვის ხელ-მიუწვდომელი.

ბაღებში, მინდვრად, ქარხნებში შენს მზეს ფიცულობს მშრომელი.
შენ მოგვაშორე სიავე და ღამე სულის მხმობელი,
ვამაყობთ: ჩვენი სამშობლო შენი დედაა, მშობელი,
რომ „იავ-ნანას“ გიმღერდა მტკვარი წყალ-დაუშრობელი.

ვინც იცის ჩვენი წარსული,—ბრძოლაა შეუწყვეტელი.
რაც ქართლზედ იწვინენ ღამენი—ვინ იყო მისი მტკრეტელი.

ჩვენი ხევის და ბარაქის ვინ არ ყოფილა მხეცელი
ვერობის კართან ვწყდებოდით, ვიყავით მისი მტკვარი.

არ ახსოვთ ჩვენი ნაბრძოლი, არც ჩაუგდიათ იოტათ,
არასდროს მოგვევლებიან, როცა გეშოდა, გეციოდა,
მტკვრის და რიონის მაგიერ სისხლის მდინარე დიოდა,
ალი და ცეცხლი წარღვნისა ჰერისთავს გადაგვიდოდა.

გულით დავაქვს სიმღერები ბედნიერი მშრომელ მხარის,
ფხიზლადა ვართ შეუდრეკელ გუშაგების რიგში მდგარი.
და თუ მტერი დაიძრება, ბოროტი და ღამის დარი,
ნახონ, როგორ ტყვიამფრქვევად შეიცვლება კალმისტარი.

განა სამოცი წლისა ხარ, შეზრდილო ხალხის გულებთან,
შენ ათასწლის ოცნებაე, იმედო საუკუნეთა,
შენზე დაიწყეს ღიღინი უხსოვარ დროის ხნულებთან,
ხალხი იმ ღლიდან გელოდა, შენს სახელს აგუგუნებდა.

შენს ნაამაგარს ხედავენ თვალის პირველი გახელით,
ჩვენი საბჭოთა ეპოქა შენდება შენი სახელით;
იმედით შემოგცქერიან ყრმათა ბრწყინვალე სახენი,
შენა ხარ ჩვენი გამირობის და ძლევის გამომსახველი.

დღეგრძელი იყოს, იხაროს, ხალხი ვინც გაახალისა,
თერთმეტი ქვეყნის გულისტქმა და ელვა მათი ხმალისა,
ბნელს ანათებდეს შორეულს სხივი ბელადის თვალისა—
ის ერთად-ერთი იმედი მსოფლიოს მომავალისა...”

ჩვენნი სიცილი

ძველად, „ხალხთა საბყრობილის“ პირობებში, რა ჰქონდა გასა-
ხარელი მშრომელ ადამიანს? მაშინდელი სიცილი კენესანარევი
იყო.

„ვინ რა იცის, რომ ეს გული მკვდარია
და სიცილი ზოგჯერ ცრემლზე მწარია...“

ასე ამბობდა ხალხის პოეტი.
მაშინ ბნელეთის მოციქულები იცინოდნენ, ხითხითებდნენ, იმან-
ქებოდნენ, იგრიხებოდნენ, იღრიქებოდნენ ხალხის ტანჯვის გამო.
ახლა? ახლა ჩვენ ვიცინით, ვმხიარულობთ, ვიცინით მთელი
გულით და არა თუ ბრძოლას ვაპირებთ ამ სიმპატიურ ჩვეულებას-
თან, არამედ პირიქით, მივესალმებით მას.

- „სიცილი“.
- „ტაში“.
- „მხიარული გაცხოველება“.
- „ხმამაღლა სიცილი“.
- „ხარხარი“.

„ჰომერული ხარხარი“, —
ასეთი რემარკებითაა აღსავსე ჩვენი ყრილობებისა და კონ-
ფერენციების სტენოგრამები.
ჩვენ გვაქვს სიცილის უფლება.
რაც კაპიტალისტისათვის მომაკვდინებელია, ის ჩვენთვის სა-
სარგებლოა. ჯანსაღ ადამიანს სიცილი არგებს, ამიტომ რაც შეიძ-
ლება ბლომად მივიღოთ ვიტამინი ს (სიცილი).

ამ მხრივ ჩვენ ყველას შესანიშნავ ცოცხალ მაგალითს გვაძლევს
ამხანაგი სტალინი.

ყოველი ჩვენგანი სიხარულით გაიგებს ხოლმე, რომ ამხანაგმა
სტალინმა სიტყვა წარმოსთქვა, ვინმესთან ისაუბრა ან მოხსენება
გააკეთა. ყველა მოუთმენლად მოელის მის წაკითხვას, რადგანაც
უდიდეს სიბრძნესთან, განუთმეორებელ თეორიულ სიღრმესთან ერ-
თად, სტალინის სიტყვები და მოხსენებანი საესეა შეუდარებელი
იუმორით, ირონიით, სარკაზმით.

ხუმრობა, ხალხური თქმულება, არაკი, ციტატები კლასიკოსთა
იუმორისტულ და სატირულ ნაწარმოებთაგან,—ყველა ამას ნახავთ
მის სიტყვებში და ეს სიმახვილე ჩვენ გვაცინებს, გულს გვიხსნის,
გვამხიარულებს, ხოლო მტერს გულს უგმირავს.

ჩვენ ყოველთვის დავცინებთ—კაპიტალისტებს, იმპერიალის-
ტებს, მეორე ინტერნაციონალისტებს, ყველა ჯურის ოპორტუ-
ნისტებს.

ბიუროკრატებს, ზარმაცებს, მცონარეებს, უყიარათოებს;
ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენს ჰანგზე არ მღერის, ფეხებში გვე-
დება და ტყისკენ იხედება.

დიდ ბელადთან ერთად, მთელ ჩვენს ხალხთან ერთად, ჩვენ
ვიცინებთ, ვიმხიარულებთ, რადგანაც ცხოვრება საამური, ხოლო
სიცილი ბედნიერების განუყრელი ატრიბუტია.
მუდამ იცოცხლოს, იხაროს და გვახაროს ღიღმა ბელადმა!

„...და ჩვენ ნუღარ ვმისაყვამდეუკობენ ბატონი ბუჩუხიძე, თუ მათ ასეთი ომის მიუკერძოებელი სათვალავი დააქლდევათ ზოგიერთი, მათთვის ახლოვანი მთავრობა, რომლებიც ამჟამად მშვიდობიანად მფრებენ „ყვალობითა ღვთისათა“... (მკუხარეჭაუვი)

ი. სტალინი;

(საანბარო მოსვენებულან სპ. კ. ბ. (ბ) XVII ყრილობაზე)



სამგლე გოჭივით ატენილები—
უფსკრულისაკენ შკრავდნენ კამარებს,

ფართო მსოფლიოს დაპყრობა სურდათ,
დაიპყრეს მხოლოდ ვიწრო სამარე.



დედამიწის ყველა კუთხეში მშრომელები სიყვარულითა და აღტაცებით ამბობენ მის სახელს, იმეორებენ მის სიტყვებს, მის ბრძოლს აზრებს, მის მახვილ გამოთქმებს, რომლებიც მოყვარეს სულით და გულით აცინებს, ხოლო მტერს ლახვრად ესობა.

იგი დასცინის კაპიტალისტებს, რეაქციონერებს, ბნელეთის მოციქულებს, კაცუნებს, უცხოეთის პრესის მოლაყებებს, ბიუროკრატებს. მოვიყვანოთ მხოლოდ რამდენიმე ნიმუში:

გაკრიტიკა რა თავის მოხსენებაში „სსრ კავშირის კონსტიტუციის შესახებ“ უცხოელი ვაი-კრიტიკოსები, მან მოიყვანა ადგილი გოგოლის „მკვდარი სულებიდან“ და შეეხო განსაკუთრებით ინგლის-ამერიკელ და პოლონელ ვაი-კრიტიკოსებს, მან სთქვა:

„არ შეიძლება ეჭვი შეგვეპაროს იმაში, რომ ეს ვაუბატონები საბოლოოდ დაიბნენ კონსტიტუციის პროექტის თავიანთ კრიტიკაში და, რაკი დაიბნენ, ერთმანეთში აურიეს მარჯვენა და მარცხენა.

ამ შემთხვევის გამო არ შეიძლება არ გავისხენოთ შინაყმა „გოგო“, პელაგია გოგოლის „მკვდარი სულებიდან“. მან, როგორც გოგოლი მოგვითხრობს, ერთხელ როგორღაც იკისრა გზა ერევნებინა ჩიჩიკოვის მეეტლე სელიფანისათვის, მაგრამ რადგან ვერ შესძლო გაერჩია გზის მარჯვენა მხარე მისი მარცხენა მხარისაგან, დაიბნა და უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. უნდა აღვიაროთ, რომ ჩვენი კრიტიკოსები პოლონური გაზეთებიდან, მთელი მათი ამბიციის მიუხედავად, მაინც ბევრად ვერ გასცილდებიან „მკვდარი სულების“ შინაყმა „გოგო“ პელაგიას ვაგების დონეს. (ტაში). თუ გაისხენებთ, მეეტლე სელიფანმა საჭიროდ ჩასთვალა დაეტუქსა პელაგია იმისათვის, რომ მან ერთმანეთში აურიო მარჯვენა და მარცხენა, და უთხრა მას: „ეხ, შე შავფეხავ... არ იცი, სად არის მარჯვენა და სად მარცხენა“. მე მგონია მართებული იქნებოდა ასევე დაგვეტუქსა ჩვენი ჭკუამოკლე კრიტიკოსები და გვეთქვა მათთვის: ეხ, თქვე ვაი-კრიტიკოსებო... არ იცით, სად არის მარჯვენა და სად მარცხენა“, (ხანგრძლივი ტაში).

იგი დასცინის პარტიის ხაზის გამამრუდებლებს, ყველა ჯურის ოპორტუნისტებს.

საკ. კ. პ. (ბ) XVI ყრილობაზე, ლაპარაკობდა რა ხალხის მოლატებზე—ოპოზიციონერებზე, იგი ამბობდა:

„ისინი, როცა თავს იყრიდნენ თავის ფრაქციულ კრებებზე და მსჯელობდნენ პარტიულ საკითხებზე, ჩვეულებრივ ვარაუდობდნენ: დავიცადოთ გაზაფხულამდე, იქნებ პარტია ჩავარდეს თესვის საქმეში,—და მაშინ დავცხოთ როგორც საჭიროაო. მაგრამ გაზაფხული მათ არავითარ პლუსს არ აღვდგა, ვინაიდან თესვა ხელსაყრელად მიმდინარეობდა. მაშინ ისინი კვლავ ვარაუდობდნენ: დავიცადოთ შემოდგომამდე იქნებ პარტია ჩავარდეს პურის დამზადების საქმეში,—და მაშინ დავცხოთ ცენტრალურ კომიტეტსო. მაგრამ შემოდგომაც ატყუებდა მათ და ხანამშრალს სტოვებდა. და რადგან გაზაფხული და შემოდგომა ყოველ წელიწადს მეორდება, მემარჯვენე ოპოზიციის ყოფილი ლიდერები განაგრძობდნენ ლოდინს და თავის იმედებს კვლავ ხან გაზაფხულზე ამყარებდნენ, ხან შემოდგომაზე“. (მთელი დარბაზის საერთო ხარხარი).

იგი დასცინის „ფუტლარის“ ადამიანებს, მშიშარებს, რომელთაც ყველაფერი ახლის ეშინათ:

„...ფუტლარის ადამიანის ეს თვისებები განსაკუთრებით სასაცილო ფორმებს ღებულობენ მათში სიძნელეთა წამოჭრის დროს. ჰორიზონტზე პაწაწკინტელა ღრუბლის გამოჩენის დროს. ვთქვათ, ჩვენში სადმე შეიქმნა სიძნელე, დაბრკოლება,—ისინი უკვე ძრწიან: ვაი თუ ცუდი რამე გამოვიდეს. სადმე ხოჭომ გაიჩუჩუნა, ჯერ ვერც კი მოასწრო ხეირიანად სოროდან გამოძრომა,—ისინი უკვე უკან იხევენ, სასოწარკვეთილებას ეძ-

ლევიან, იწყებენ მოთქმას კატასტროფაზე, საბჭოთა უფლების დაღუპვაზე“. (საერთო ხარხარი). ჩვენ მათ ვამბობდებით, ვცდილობთ დავარწმუნოთ, რომ აქ ჯერ კიდევ არაფერია საშიში, რომ ეს მხოლოდ ხოჭოა, რომლის არ უნდა გეშინოდეს. მაგრამ რას გააწყობ! ისინი განაგრძობენ თავიანთ მოთქმას: „როგორ თუ ხოჭო? ეს ხოჭო კი არა, ათასი გააფთრებული მხეცია! ეს ხოჭო კი არა, უფსკრულია და საბჭოთა ძალაუფლების დაღუპვა“. და იწყება ვაიუშველებელი... ბუხარინი ამის გამო სწერს თეზისებს და გზავნის ცენტრალურ კომიტეტში. ის ამტკიცებს, რომ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკამ ჩვენი ქვეყანა დაღუპვამდე მიიყვანა, რომ საბჭოთა ძალაუფლება აუცილებლად დაიღუპება, თუ დღეს არა, უოველ შემთხვევაში ერთი თვის შემდეგ. რიკოვი უერთდება ბუხარინის თეზისებს, მხოლოდ შენიშნავს, რომ მას აქვს მეტად სერიოზული უთანხმოება ბუხარინთან, რაც იმაში მდგომარეობს, რომ საბჭოთა ძალაუფლება, მისი აზრით, დაიღუპება არა ერთი თვის, არამედ ერთი თვისა და ორი დღის შემდეგ. (საერთო სიცილი). ტომსკი უერთდება ბუხარინს და რიკოვს, მაგრამ პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ ვერ შესძლეს გვერდის ავლა თეზისებისათვის, ვერ შეძლეს გვერდის ავლა დოკუმენტისათვის, რომლის გამო შემდეგ მოუხდებათ პასუხისგება: „რამდენჯერ მითქვამს თქენთვის—მოიქეცით როგორც გინდათ, მაგრამ ნუ დასტოვებთ დოკუმენტს! ნუ დასტოვებთ კვალს“. (მთელი დარბაზის ჰომერიული ხარხარი. ხანგრძლივი ტაში). მართალია, მერე, ერთი წლის შემდეგ, როცა ყოველი სულელისათვის ცხადი ხდება, რომ ხოჭოს საშიშროება გამოჰმულ კვერცხადაც არ ღირს, მემარჯვენე უკლონისტები თანდათან გონს მოდიან, სიმამაცეს იჩენენ, ტრახანსაც კი იწყებენ და აცხადებენ, რომ მათ არავითარი ხოჭოსი არ ეშინათ, მით უმეტეს, რომ ეს ხოჭო—ასე ჩია და მიმხრჩვალა. (სიცილი. ტაში). მაგრამ ეს ერთი წლის შემდეგ მანამდე კი წადი და იწვალე ამ ჯანჯალ ადამიანებთან...“.

რამდენიმე სიტყვით იგი მხესავით ანათებს და აშუქებს უდიდეს მოვლენებს, საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობას. მისი თვითებული ფრაზა, თვითებული მისი გამოთქმა წარმოადგენს მუშაობისა და ბრძოლის პროგრამას. იგი ახასიათებს სოციალიზმის დიდ ქვეყანას, რომელმაც მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებები მოიპოვა ყველა ფრონტზე, ბუმბერაზულად გაზარდა თავისი საერთაშორისო როლი, რომლის პოლიტიკა ნათელი და გასაგებია:

„ჩვენ მხარს ვუჭერთ მშვიდობიანობას და საქმიანი კავშირის განმტკიცებას ყველა ქვეყანასთან, ვდგავართ და ვიღებებით ამ პოზიციაზე, რამდენადაც ეს ქვეყნები ასეთსავე ურთიერთობაში იქნებიან საბჭოთა კავშირთან, რამდენადაც ისინი არ შეეცდებიან დაარღვიონ ჩვენი ქვეყნის ინტერესები...“


...ვისაც სურს მშვიდობიანობა და ვინც ეძებს საქმიან ურთიერთობას ჩვენთან, ჩვენ მას ყოველთვის მხარს დავუჭერთ. ხოლო ისინი, ვინც შეეცდება თავს დაესხას ჩვენს ქვეყანას, განაღდგურებელ პასუხს მიიღებენ, რათა შემდეგში მათ დაეკარგოთ ხალხის შემოსჩარონ თავისი ღორული დინგი ჩვენს საბჭოთა ბოსტანში“. (მქუხარე ტაში).

ასეთია მისი სიტყვა, რომელიც არასოდეს და ოდნავადაც არ ეთიშება საქმეს, მისი სიტყვა არის ყველაზე უკეთესი მაღამო მოყვრისათვის, მთელი მშრომელი კაცობრიობისათვის, ხოლო უბასრესი მახვილი და ლახვარი მტრებისათვის.

ამიტომ უყვართ იგი მშრომელებს უდიდესი და უღრმესი სიყვარულით.

„1917 წ. ივლისის გამოსვლების დროს—სწერს ა. ბარბიუსი—როცა „პრავდის“ რედაქციაში კრონშტადტელი მატროსები ეკითხებიან ამხანაგ სტალინს ტელეფონით, თუ როგორ გამოვიდნენ დემონსტრაციაზე, შაშხანებით თუ უშაშხანოდ, სტალინი უპასუხებს:

— შაშხანები?... თქვენ უფრო მიხვდებით ამხანაგებო, აი, ჩვენ, მწეარლები, ჩვენს იარაღს, შანძრებს, მუღამ თან ვატარებთ... რაც შეეხება თქვენს მიერ იარაღით გამოცვლას, თქვენ უკეთ მიხვდებით“.



... და მართლაც მაგროსები თავიანთი „შანძრებით“ გამოვიდნენ.

ქეოქსი



ბიზნისი
3.

1.

ჭერები წარმოადგენდა მთებს შუა გამწვანებულ მოედანს. აქ მუდამ წელი სიო ჰქროდა, რაკრავებდა პატარა წყარო და მოსასვენებლად კარგი ადგილი იყო. აქ იცოდა ხალხმა კვირა-უქმე დღეებში თავის მოყრა, დასვენება, მასლაათი. მოედნის ერთ მხარეს ვეებერთელა კაკალი ამშვენებდა, მეორე მხარეს, წყაროსთან, ჭოჩორა ტირიფი.

ცხარე კამათის შემდეგ აქ დანიშნეს ბოლშევიკებმა და მენშევიკებმა თავისი ძალების დემონსტრაცია. ორივე მხარე გამოიყვანდა თავის მომხრეებს ჭერებზე და დროშით ჩადიდოდა ჭიათურაში.

ორივე მხარე დიდ სამზადისში იყო. მთელი თვე ემზადებოდნენ. კობამ ყოველ მაღაროს, ყოველ სოფელს მიუჩინა კომიტეტის წევრები. ყოველ ბოლშევიკს დაევაოა თითოს ორი-სამი თანამგრძობის მოყვანა. ყოველ თანამგრძობს ერთი-ორი უპარტიოს მოყვანა. მოსელის მიზანი ყველას უნდა სცოდნოდა.

ცალკე გამოყოფილ იქნენ ათისთავები, ასისთავები, მეღროშეები, მომღერლები, გუნდის ლობტარები. ორგანიზაციაში კაცი არ დარჩა, რომელსაც დავალება არ მიეღო. დავალება უპარტიო მუშებმა და გლეხებმაც მიიღეს: ვინ ათისთავად, ვინ ოცისთავად, ვინ მეწესედ, ქალებმაც და კაცებმაც თანაბრად.

ამ დროს მენშევიკების კომიტეტში წიგნებს ფურცლავდნენ, ისტორიულ ანალოგიებს ეძებდნენ, ციტატებს იწერდნენ და ჭერების მიტინგისათვის ეფექტურ სიტყვებს ამზადებდნენ...

2.

დანიშნული კვირაც გათენდა და ჭერებზე დენა იწყო ხალხმა. მოედნის ერთ მხარეზე კაკლის ხესთან, ბოლშევიკები დადგნენ. მეორე მხარეზე, ტირიფთან—მენშევიკები.

თერთმეტ საათზე ერთმანეთის რიგები რომ შეათვლიერეს კონტრასტული სურათი გადაიშალა. მართალია, მიტინგი თორმეტ საათზე იყო დანიშნული, მაგრამ მენშევიკების მხარეზე მაინც საკმაო ხალხი შეკრებილიყო. ორასამდე კაცი იქნებოდა და თითო-ორიოლა კიდევ ემატებოდა. ბოლშევიკების გარშემო ოციოდე კაცი თუ იქნებოდა...

— ხა... ხა... ხა... — ისმოდა მენშევიკების მხრიდან. — რამდენი მომხრე ჰყოლიათ! მოედანზე ვერ ეტყვიან...

— კაცო, გაიწიეთ, ადგილი არ ჰყოფნით ბოლშევიკებს! — ოხუნჯობდა ზაქარია გურული. — ეხ, ის გორაკი რომ არ იყოს, დაეტოვდნენ!

კობა დამშვიდებული იდგა კაკლის ქვეშ. ფაცია გალდავა და სტეპკო ინწკირველიც სდუმდნენ.

თორმეტი საათი რომ დაიწყო, ბოლშევიკების მხარეზე ერთი წითელი დროშა გამოჩნდა. ხუთიოდე კაცი მოვიდა და კაკლის ქვეშ დადგა. ესენი იყვნენ კობას უახლოესი თანამებრძოლები ვიქტორი, გუცა, დავითი, გიორგი, ვანო. მენშევიკებს კი მოწვეულები ეგონათ და გამოეროული სიცილი ასტეხეს: — ხა... ხა... ხა... ჯარი მოუვიდათ! ჯარი!

— ჩაფლავდნენ! ჩაფლავდნენ! — გაჰკიოდნენ მენშევიკების პროპაგანდისტები: პარიზელი № 1 და პარიზელი № 2.

— დაყარეთ, ბიძი, იარაღი! ვერა ხედავთ რა გემართებათ?

— ვინ ჩამოუვა მაგათ? სადა ჰყავთ მიმდევრები?

ზაქარიამ ხელი ასწია და გასძახა თავისიანებს: — ამხანაგებო! აი ბოლშევიკების ძალები! აი, მათი არმია! გაჰხედეთ, გაჰხედეთ!

კობამ საათს დახედა: თორმეტის ნახევარი იყო. თითქოს გაკვირვებული სახით გადახედა მენშევიკების რიგებს და კაკლის ძირას ჩამოჯდა.

— ჩავიდეთ ქალაქში, რას ვუყურებთ? — გაისმა მენშევიკების რიგებში.

— არა, ამხანაგებო! — ხმაძლია და დაცინვით უთხრა თავის ჯგუფს ზაქარიამ. — გზა დაუთმოთ ბოლშევიკებს. ისინი ხომ უმრავლესობაა? დავთვალთ რიგები, მენშევიკებო!..

— ხა... ხა... ხა...



— ეხ, მოგვეყვანა ფოტოგრაფი! რა ისტორიული სურათის გადაღება შეიძლებოდა?..

დრო მიდიოდა. ივნისის მზე სულ უფრო და უფრო აჭერდა და მალა მალა ადიოდა. სიო ჩამორბოდა მთის თხემიდან და თავისუფლად თამაშობდა ბოლშევიკების მხარეზე.

მენშევიკების მხარეზე სულ უფრო და უფრო მატულობდა მოუთმენლობა. მათ აჯავრებდა კობას და მისი მცირე ჯგუფის საოცარი სიმშვიდე. რაც უფრო უახლოვდებოდა ისარი თორმეტს, მით უფრო ჰქარავდნენ სიმშვიდეს მენშევიკების ლიდერები. მათ იგრძნეს, რომ კობას სიმშვიდეს რაღაც აზრი აქვს. შიშმა წელწელა გააფართოვა თავალები. ზაქარია უკვე ნერვულად უყუჩებდა საათს. მან თვალი მოჰკრა, კობამ საათი ამოიღო და დააჩერა.

— ჰმ!.. რას უყურებს საათს? — წამოიძახა ზაქარიამ არც თუ თავისიანების დასაწყნარებლად, არც თუ საკუთარი იჭვების გასაქარწყლებლად. — ხუთი უკლია თორმეტს... ამ მთებს ხომ არ დასძრავს ეს კაცი და არ ჩაიყვანს ქალაქში? ან მიწიდან ხომ არ ამოიყვანს ეს კაცი ხალხს? წავიდეთ!..

თორმეტი საათია. კობა ადგა. თანამებრძოლნი გვერდით ამოუდგნენ. ყველანი მთებს უყურებდნენ. კობამ ქუდი მოიხადა, გრუსა თმები დაარხია და მთებს შეხედა. ტუჩზე და თვალის გარშემო ოღნავ გამომწვევი ღიმილი უქროდა.

უცებ, თითქოს მთები დაიძრაო, თითქოს მიწიდან ამოხეთქაო ზღვა ხალხმა...

უამრავი დროშა ამოფრიალდა გორაკებზე და ზღვა ხალხი ყიყინით გაღმოდგა მთებზე.

— გაუმარჯოს რევოლუციას! — დასცა ხალხმა ყიყინა. — ძირს მეფე! ძირს კაპიტალიზმი!

და წამოვიდა ხალხი, როგორც შეგუბებულნი რისხვა, როგორც ჯაჭვწყვეტილი ამირანი.

მაღაროს მაღარო მოყვება. სოფელი სოფელს. სამხედრო რაზმები ცალკე დროშებით, ცალკე მეთაურებით.

დარაზმულნი ათათად. წითელბანტიანი ათისთავები, ოცისთავები, ასისთავები. ათასის თავებს ორ-ორი ბანტი...

იარაღზე დროშები. დროშებზე ყვავილები...

სტეპკო მიუბრუნდა თანამებრძოლებს და ხმამალა ჰკითხა:

— ახლა ხომ არ უნდათ მაგათ დავთვალთ რიგები?..

— ეხ, მოგვეყვანთ ფოტოგრაფი! რა ისტორიული სურათის გადაღება შეიძლებოდა? — დასძინა ფაცია.

მთის კალთა რომ ჩამოვლეს და ჭერებზე ფეხი შემოდგეს, დემონსტრანტებმა იარაღი ააქლარუნეს, დროშები ასწიეს, დააგუგუნეს:

— ვაშა ჩვენს პარტიას! ვაშა ბოლშევიკებს! ვაშა ამხანაგ კობას!..

ხალხის თავი რომ ჭერებზეა, ბოლო ისევ მთების თხემზეა.

კობა მალოობზე ავიდა... ვაშა არბის და ჩამორბის ჭერებიდან მთების თხემამდე, მთების თხემიდან ჭერებამდე. ჩიტები წამოიშალნენ ბუჩქებიდან, ბაღებიდან, დიდხანს იყვნენ ცოცხალ ქოლგასავით ვაშლილნი გუნდ-გუნდად ჰაერში და ვერ ბედავდნენ დაბლა ჩამოსვლას.

— დღევანდელი დემონსტრაცია, — გამოაცხადა კობამ, — არის რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ჭიათურის ორგანიზაციის ბოლშევიკების ძალთა დავალიერება... ხალხი, ეს ჩვენა ვართ ხალხი... პარტია ჩვენი დედაა, ხალხი ჩვენი ოჯახი, ბოლშევიკები—შვილები ხალხისა... ხალხი ბრძენია, იცის რა გზით წავიდეს! იცის რა გააკეთოს!.. ხოლო როგორ გააკეთოს, ამას ჩვენ ვაჩვენებთ, ბოლშევიკები...

თავზარდაცემულნი იდგნენ მენშევიკები. არც ერთი სიტყვა, არც ერთი შემახილი. ულონო ბრავით უყურებდნენ ერთმანეთს. თან რცხვენოდნენ წასვლისა, თან რცხვენოდნენ დარჩენისა. „ლიდერები“ ხელში კმუჭნიდნენ გამზადებულ სიტყვის გეგმებს...

ხალხი დაიძრა ქალაქისაკენ. წინ მიუძღოდა კობა.

შალვა დადიანი, როდინი ქობია.

„... გურჯაუჯიას შეუქლია ეგვი არ ჰქონდეს იმასი, რომ საბჭოთა კავშირის მუხათა კლასის მკა-
ვალრიცხვოვანი მემოგარები ეგკოვასა და აჯიასი შეიცდებოიან ზუგრიდან დავკან თავის ზეაგვრელებს.
რომლებმაც დაიწყეს დანაშაულებრიმი ომი ყველა ძველის მუხათა კლასის საშოგოლოს წინააღმდეგ“...

ი. სვადინი **ეროვნული
ბიულეთი**

(საანგარიშო მოხსენებიდან საქ. კ. პ. (ბ) XVII ყრილობაზე)



ყველა მშრომელის დიად სამშობლოს
მგლის თვალთ უცქერს მტაცებელთ ხროვა,
სურთ კვლავ დაადგან მონის უღელი
და დაუბრუნონ ტანჯვა და გლოვა,

მაგრამ ვინც ბილწი ხელი აღმართა,
ან ვინც ყაჩაღურ ღრენას დაგვიწყებს,
მან ის მიიღო, კვლავ მას მიიღებს,
რასაც ვერასდროს ვერ დაივიწყებს!

მას შეჯიბრს ერთბაშად



საქრებულო
საბჭოთაო

მზე ჩაგოდა, კლდეს რომ ჩრდილი
კიდევ უფრო ჩაუშავს,
და მუშები სწრაფად, თითქო
იჩქარიან სამუშაოდ.

რომელ მხრიდან არ მოსულან,
დათვლი, მაგრამ განა რამდენს!
დიდი კრება შეიკრიბა,
ნახიზნარში დაბანაკდნენ.

ვილაც ხალხში იქადება:
დღეს ვაჩვენებთ ბოლშევიკებს!
აი, ადის კლდეზე ვილაც
და საომრად ღონეს იკრებს...

ლაპარაკობს მოქადავე,
შეეხება ათას საგანს,
მენშევიზმის საბუთები
სულ ერთბაშად დააღავა.

ენა ყველას წყლიანი აქვს,
მაგრამ საქმე არი ძნელი,
გათაყვებს ხომერიკი,
ქვაზე ადის „პარიზელი“.

ისიც მორჩა, სხვა გამოჩნდა,
როდი უყვართ დახანება,
რომ შეატყვეს არ გავიდა
ხალხში მათი სახარება,—

სეტყვასავით გაახშირეს
გინება და გაცხარება,
და მებუთეც გამობრწყინდა
ფერდაკარგულ თაიგულთან,
ვერ მოიგო ხალხის გული,
გაცხარდა და გაიბუტა...

ნელმა სიომ ფოთლებს დაჰკრა—
ტაში იყო კანტი-კუნტად...



...ნაყოფი ჰქონდა დიდძალი!

იგი აქამდე მუშებში იჯდა,
წამოდგა მტრისთვის ანაზღაურად,
გაიყო წრე და ღიმილით, დინჯად,
ის მოდიოდა თვალანთებული.

შედგა, გულშეკრდი გადაღებოდა,
ომა ჩამოშლოდა ხშირი თვალტანადს,
მკლავი გაეძრო ცალ სახელოდან
და ხელში ჰქონდა წიგნი პატარა.

გაშალა ხელი, როგორც არწივი
ფრთას გაშლის ხოლმე დამშვიდებულო,
რა ბრძნული იყო სიტყვა მარტივი,
რა აზრიანი და დიდებული!

— თქვენ რომ გიყურებთ, ქართული
გამახსენდება ზღაპარი:
ერთმა ვაჟკაცმა იცხოვრა,
დღედაღამ ზიდა ჭაპანი,
ვერ აიშენა სამყოფი
ვერც გადიხურა საბანი.

უსაზღვრო ჰქონდა ყანები,
შიგ ტრიალებდა ღვთის თვალი,
შიგ ტრიალებდა ვაჟკაცის
თოხი, ბარი და ფიწალი,
ზღვასავით იდგა ჯეჯილი,
ნაყოფი ჰქონდა დიდძალი!



...შეება და შეიქიდა...

მაგრამ ამაოდ შრომობდა
საწყალი ადამიანი,
პურად რომ გადიქცეოდა
თავთუხი თავთავიანი —
კარს დევი მოადგებოდა
საშიში — ცხრა თავიანი.

ხმასაც ვერ შეუბედავდა,
თუმცა არ იყო ჯაბანი,
სუყველა იმ დევს მიჰქონდა
ნაშრომი და ნაჯაფარი,
მას მარტო შრომა რჩებოდა
და გასაწყვეი ჭაპანი.

ზვარეში ჰქონდა ზვარეში
ვაზები ედგა რქიანი,
ღვინობისთვეში საწნახლის
ღარებს გაჰქონდა თქრიალი,
ღვინო მეღვინის არ იყო,
კარს დევი ადგა ტიალი.

საწნახლის ღართან პატრონის
კოკაც არ იყო შიმდგარი,
სუყველა იმ დევს მიჰქონდა,
გაიღებოდა ჭიშკარი,
ღვინის ქვევრში და მარანში
ღვინო დიოდა შვიდგვარი.

დააღონა ბოლოს ვაჟი
ულელმა და მონის ბედმა,
— ან სიცოცხლე, ან სიკვდილი!
გადასწყვიტა დევთან შებმა,
ვერც ცხრა თავმა შეაშინა,
ველარც დევის უღვაშებმა.

შეება და შეიქიდა,
ან რა ჰქონდა მოსარიდი,
დევი სულს რომ მოითქვამდა
ქვენა ქარი ქროდა დიდი,
ლამის ვაჟმა გადასძლიოს,—
ნახა ხელის მოსაჭიდი!

მაშინ ერთი დედაბერი
გაჩნდა დევის სასახლიდან,
ვაჟს რომ ფეხი არ მოედგა,
ვაჟის ფეხქვეშ წყალსა ღვრიდა,
დევს რომ ფეხი მოეკიდა —
დევის ფეხქვეშ ნაცარს ყრიდა.
ფეხზე დადგა,
გაძლიერდა
დევის სულის შენაბერი.


მაშინ ვაჟმა გაიფიქრა:
ვერ გავაწყო ვერაფერი —
დროზე თუ არ მოვიშორე
ეს წყეული დედაბერი!

შუაში მდგარი ხუნხუზა*)
გზას ეძებს უკან დასახევს,
მუშები მიხვდნენ — ბელადი
საით იქნევიდა მათრახებს,
გაელიმათ და ხმაძალა
დედაბრის საქმე დაძრახეს.

ბელადი სიტყვას აგრძელებს
მტრებისთვის უხამად მომდინარს,
— დევს ხელი უშვა ვაჟკაცმა,
როდი გადიქცა ლოდინად,
დედაბერს ერთი შემოჰკრა!
და სული გააფრთხობინა!

მერე კვლავ დევს მიუბრუნდა,
ასწია და დასცა მიწას,
ალარც ხვეწნას გაუგონა,
ალარც დევის დანაფიცარს.

* ხუნხუზა მენშევიკი ნ. ხომერიკი, გამოდიოდა
ჭიათურის დისკუსიებზე ამხანაგ სტალინის წი-
ნაღმდევ



... თუ ავიღებთ კაპიტალისტურ ძველებს, იმ დეკლარაციას და ამომრჩევლებს ზოგის არსებობას ერთგვარი თავისებური, მე ვიტყვი, საკმაოდ უცნაური ურთიერთობა. სანამ არჩევნები მიმდინარეობს, დეკლარაციები ელაცივირებინან ამომრჩევლებს, ელასუცებიან მათ, ეფიცებიან ერთგულებას, აქლავან ათასგვარ დანახარებს...

როგორც კი არჩევნები მოხდა და კანდიდატები დეკლარაციებზე გადაიქცნენ, — ურთიერთობა ძირფესვიანად იცვლება. ამომრჩევლებზე დეკლარაციების დამოკიდებულების ნაცვლად გამოდის მათი სრული დამოუკიდებლობა. 4 თუ 5 წლის მანძილზე, ე. ი. ახალ არჩევნებამდე, დეკლარაციები ისე გრძნობს თავს, რომ იგი არის სრულიად თავისუფალი, ხალხისაგან, თავისი ამომრჩევლებისაგან დამოუკიდებელი. მას შეუძლია გადავიდეს ერთი ბანაკიდან მეორეში, მას შეუძლია გადაუხვიოს სწორი გზიდან არასწორზე, მას შეუძლია გაეხადოს ზოგიერთი არა მთლად საკადრისი ხასიათის მახინჯი იდეები კი, მას შეუძლია ყირაზე გადავიდეს, როგორც მას ნებას, — იგი დამოუკიდებელია.

შეიძლება თუ არა ნორმალურად ჩაითვალოს ასეთი ურთიერთობა? არავითარ შემთხვევაში, ამხანაგებო. ეს ბარემობა ბაიბულიზმის ნაცვლად კონსტიტუციონალიზმს და მან გაატარა კანონი, რომლის ძალით ამომრჩევლებს უფლება აქვთ ვადადეგ ბიჭვირთ უკან თავისი დეკლარაციები, თუ ისინი იწყებენ ელასუცობას, თუ ისინი უხვევენ გზიდან, თუ მათ ავიწყდებათ, რომ დამოკიდებული არიან ხალხისაგან, ამომრჩევლებისაგან.

ეს შესანიშნავი კანონია, ამხანაგებო. დეკლარაციებზე უნდა იცოდეს, რომ იგი არის ხალხის მსახური, მის მიერ წარგზავნილი უმაღლეს საბჭოში და იგი უნდა გაეყვას იმ ხალხს, რომელზედაც მას მიცემული აქვს ბანაკის ხალხის მიერ. თუ გზას გადაუხვია, ამომრჩევლებს უფლება აქვთ მოითხოვონ ახალი არჩევნების დანიშნვა, და მათ უფლება აქვთ ის დეკლარაციები, რომელზეც გზას გადაუხვია, ყოველივეთ გააუარონ (სიცილი, ტაში).

ეს შესანიშნავი კანონია. ჩემი რჩევა, დეკლარაციების კანდიდატის რჩევა ჩემი ამომრჩევლებისადმი, ახსოვდეთ ამომრჩევლებს ეს უფლება, — დეკლარაციებზე ვადადეგ უკან გაფხვირს უფლება, თვალყურს ადევნოს თავის დეკლარაციებს, კონტროლი გაუწიონ მათ და, თუ ისინი ბანი წახანებენ სწორი გზიდან გადახვევას, თავიდან მოიშორონ ისინი, მოითხოვონ ახალი არჩევნების დანიშნვა. მთავრობა ვალდებულია დანიშნოს ახალი არჩევნები. ჩემი რჩევა — გახსოვდეთ ეს კანონი და გამოიყენოთ იგი საჭიროების შემთხვევაში.

... ათასნაირი აღამიანია ამ ძველებზე, ათასნაირი მოღვაწეა ამ ძველებზე. არიან აღამიანები, რომლებზედაც ვერ იტყვი, ვინ არის იგი, კარგია თუ ცუდი, მამაცია თუ მკდალი, ბოლომდე ხალხის მსახურია თუ ხალხის მტრების მსახურია. არიან ასეთი აღამიანები და არიან ასეთი მოღვაწეები. ისინი ჩვენშია არიან, ბოლომდე იყავს ზოგის. თვითონ იცით, ამხანაგებო, რომ ყოველ მოწახშია თითო მახინჯი (სიცილი, ტაში).

ასეთი გამოუჩვევლი ტიპის აღამიანებზე, იმ აღამიანებზე, რომლებიც უფრო გვაბრუნებენ კოლიტიკურ ობივაცილებს, ვიდრე კოლიტიკურ მოღვაწეებს, ასეთ გამოუჩვევლი, ჩამოუყალიბებელი ტიპის აღამიანებზე საკმაოდ მოსწრაფებულად სთქვა დიდმა რუსმა მწერალმა გოგოლმა: „გამოუჩვევლი აღამიანებია, არც ეს არიან არც ის, ვერ ბაიბებ, რა ხალხია, არც ბოგდანი ქალაქი და არც სელიფანი სოფელი“ (სიცილი, ტაში). ასეთ გამოუჩვევლ აღამიანებზე და მოღვაწეებზე აბრეთვე საკმაოდ მოსწრაფებულად ამბობს ჩვენი ხალხი: „არის რაღა, — არც წყალია და არც ღვინო“ (საერთო სიცილი, ტაში), „არც ღვინისა და არც ეშმაკისა“ (საერთო სიცილი, ტაში).

მე არ შემიძლია სრული დაწმენებით ვთქვა, რომ დეკლარაციების კანდიდატთა ზოგის (მე, რა თქმა უნდა, დიდ ბოდიშს ვიხდი მათ წინაშე) და ჩვენს მოღვაწეებს ზოგის არ მოიპოვებიან ისეთი აღამიანები, რომლებიც ყველაზე უფრო მოგვაბრუნებენ კოლიტიკურ ობივაცილებს, რომლებიც თავისი ხასიათით, თავისი ფიზიონომიით მოგვაბრუნებენ ისეთი ტიპის აღამიანებს, რომლებზედაც ხალხი ამბობს: „არც ღვინისა და არც ეშმაკისა“ (სიცილი, ტაში).

მე მიხდა, ამხანაგებო, რომ თქვენ სისტემატურად ახდენდით გავლენას თქვენს დეკლარაციებზე, რათა მათ ჩააბრუნებდით, რომ მუდამ თვალწინ ედგათ დიდი ლენინის დიდი სახე და ყველაფერში ჰბაძავდნენ ლენინს“... (ტაში).

ი. ს ტ ა ლ ი ნ ი.

(სიტყვიდან ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1937 წლის 11 დეკემბერს დიდ თეატრში).

ჯერ ცხრათავი დალაგა, მერე გულში დანა მისცა!..
...ის ვაჟკაცი თქვენ ხართ, ხალხო, ვეფხებს ჰგავხართ ტყედ გასულებს, დევი იგი მეფე არი, მემადნე და მემამულე, თქვენით ტახტი აიშენეს, — თქვენ სიცოცხლე შეგაძულეს.
თქვენ აქამდეც აჯობებდით, რას იზამდა თქვენთან მტერი, მაგრამ აქაც გამოუჩნდა დევის მსახური შესაფერი, მუშის ფეხქვეშ წყალს რომ ასხამს, — აი, თქვენი დედაბერი!
ეს თქვა და ხელმა გაწვდილმა მოპირდაპირე აჩვენა, ფეხზე წამოსტა ხუნხუზა: — ხელი შემახმეს მარჯვენა, თუ შენ ცოცხალი გავიშვა, არ მიხდა ცოცხლად დარჩენა!..



აჩერებენ, არ ჩერდება, დაებურა სახე ბინდად, ცოტა ახლო რომ მივიდა, უცებ შედგა და შეშინდა: მის წინ შავი წერაქვეები წამით გადაჯვარედინდა!
დაგუგუნდა სიმღერები, — ჰგავდა ქარის ვაღანატანს, ზღვად მოადგა ბელადს ხალხი, როგორც იმედს და სამართალს, მერე დროშა გაიშალა და ცა წითლად გაანათა!
მტრის გზას ზურგი შეაქციეს, გარღვეული ჩადგეს მიჯნა, მას შეფიცეს ერთგულება, ქვა დაადეს ქვაზე ნიშნად, ჭიათურა გამყიდველებს სამუდამოდ გაეთიშა!..

...მუშის ფეხქვეშ წყალს რომ ასხამს, — აი თქვენი დედაბერი...

„... ახალმა მკონოშიურმა კრიზისმა უნდა გამოიწვიოს და ის ნამდვილად იწვევს იმპერიალისტურ ბრძოლის უფროს გაფრთხილებას. ლაპარაკია უკვე არა ბაზრებზე კონკურენციის შესახებ, არა ნავაზროთის შესახებ, არა დემონიზის შესახებ. ბრძოლის ეს საშუალებანი უკვე დიდი ხანია მიჩვეულია არასაკმაოდ. ახლა ლაპარაკია საომარ მოქმედებათა გზით უსოფლიო, გავლენათა სფეროებზე, მათზე და ნივთის ახალ გადაწვევებზე“.

ი. სვანიძე

(საანგარიშო მოხსენებიდან სსკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე.)



მტაცებლებმა ბაზრისათვის
ვაჩაღეს ომი,

ხალხს უღებენ და თან ამბობენ:
„ხალხის ხსნის ვართ მდომი“.

„...ზვიადება სთავან, ღუმილით ვახვადრა არ არი კრიტიკარ. მახრამ ეს არაა მართალი. ღუმილით ვახვადრის მითოდის, როგორც უზულებელუროვის განსაკუთრებული საზუალეა, არის ახრითვე კრიტიკის ფორმა...“ (საბითო სიცილი, ტაში)

ი. სტალინი.

(მოხსენებიდან სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ)

„... ლაპარაკობენ საბითაზოკრისო სამართალზე, საბითაზოკრისო მალდებულეზებზე... როგორ საბითა-ზოკრისო მალდებულეზათა კალით დაესხნენ საბითოთა კავშირის საზრანბითის, ინგლისის, ამერიკის, იაკონიის კაპიტალისტები და მთავრობები, მოაწყეს მისი ინტერვენცია, კარცვამდნენ მას მთელი სამი წლის განმავლობა-ში და ანადგუებდნენ მის მოსახლეობას? თუ ავას ეფო დება საბითაზოკრისო სამართალი და საბითაზოკრისო მალდებულეზა, მაშინ რადას ეფო დება კარცვა-გლეჯა?“ (სიცილი, ტაში).

ი. სტალინი.

(საანგარიშო მოხსენებიდან საქ. კ. პ. (ბ) XVI ყრილობაზე).

აყვავილა გაზაფხული

(ნაწყვეტი პოემიდან)

საიდუმლო კრება ჰქონდათ,
შუალამედე იკამათეს,
ოპორტუნისტს სიტყვა მისცეს
და თვალები მიანათეს.

— ეჰე, ვნახოთ, დღეს რას დაფქვავს, —
ერთმა სთქვა და გაიციანა,
იქვე მჯდომმა დაუმატა:
— არ იცნობდი მავას წინაღ?

კას და მიწას მოედება,
ხეტილობს აღმა-დაღმა,
გვარწმუნებს რომ მისი აზრი
წამყვანია მუშის წალმა, —

ჰე, ღამია, არც მასეა, —
შენიშნავს მათ ფეხზე მდგარი
თუ არ გჯერათ, აი, იცნობს
მას ეს სენჭო ქილიფთაზი.



— დიახ, ვიცნობ, — ამბობს კენჭო,
მაგ ყმაწვილზე რა არ ითქმის,
მოუსმინეთ რა ენა აქვს
და რა მთქმელი არის სიტყვის.

ჰე, ბიძია, მავის ცოდნის
ჩვენ რომ მოგვცა შეათედი,
მაშინ სულ სხვა იქნებოდა
ეს ძალღური ჩვენი ბედი.

ამ დროს ნელი ნაბიჯით წინ
წამოდგა ის, — ახოვანი, —
ოპორტუნისტს მორიდება
ქონდა, — იყო ტკბილზმოვანი.

მან საყელო გაისწორა
და სთქვა, — ძნელი კითხვა დგასო,
არ იფიქროთ ბრძოლების წინ
უკან ვიხევე, ვიცავ ტყავსო.

აი, ვთქვათ თქვენ გაიფიცეთ,
გაფიცვა რომ გინდათ — ვიცი,
მეც მომხრე ვარ, — ოღონდ ჯერ თქვით
რას მოიგებთ ამ გაფიცვით?

ჯარი ყავთ და პოლიცია,
მათ ხელშია იარაღი,
რას გახდებით შიშველ ხელით
და წითელი ბაირალით?

დავზოცავენ. ვინც დარჩება
გაგზავნიან ციმბირს იქით, —
ადგილიდან შეეკითხენ:
კვლავ ვითმინოთ თქვენი ფიქრით?

ასე მღვდელიც გვიკადაგებს, —
საიქიოს იმედს გვაძლევს,
გვითხარი თუ შეგიძლია
მუშა ტანჯვას როგორ დაძლევს?

— ვიცით, — ვილაც დაიძახებს, —
მას უსისხლო ბრძოლა უნდა.
მოკამათე ორატორი
თავის სადგისს დაუბრუნდა.

ამ დროს კრება შეტორტმანდა,
მყისვე სმენად ვადაიქცა, —
თავმჯდომარე ლომჯარიამ
ხალხის მოძღვარს სიტყვა მისცა.

ახალგაზრდა წინ წამოდგა,
შავგვრემანი და პირმრგვალი,
გადასვა თავზე ხელი,
თვალთ ცვიოდა ცეცხლის ალი.

მან სთქვა: ყოველ წუთს აქვს ფასი.
მაგრამ ერთ წუთს მაინც ვკარგავ,
რჩევას მივცემ იმას, ვისი
რჩევა ჩვენთვის აღარ ვარგა.

რადგან ბრძოლა კაცს თუ არ სწამს,
მას არა სწამს მშრომელთ ბედი,
მხოლოდ ბრძოლა არის მზიურ
მომავალის გამომქედი. —

ცოტა კიდევ სთქვა და შემდეგ
მოკლედ მოსჭრა თავის აზრი,
ყველას თვალი გაუბრწყინდა,
ერთს აეგსო გული ბრაზით.

დადგა წუთი გადამწყვეტი, —
კრებამ კენჭი უნდა ყაროს:
გაფიცვა და ბრძოლით წინ თუ
იარაღი გადაყაროს.



ყველა ფიქრობს წინააღმდეგ
ათი კაცი მისცემს ხმასო, —
ოპორტუნისტს რომ აყვენ და
სთქვეს, — გაფიცვა დაგელუზავსო. —

თავმჯდომარემ კენჭი ყარა:
— ვინც გაფიცვის მომხრე ხართო
ხელი ასწით! დაითვალა:
— ერთის გარდა ყველა ვართო.

კრებამ ხარბად შეისუნთქა
და აღნთო ყველას გული.
გარეთ თოვდა, კრებაზე კი,
აყვავილა გაზაფხული.

ომის უმთხმომავი ჩვენი აკმის ზუკაზი და ფკონტი, მათი მკთვარკოზისა და შინაგანი ეკთინტე-
ბის გამო, უფრო მტკიცე იქნება, მიღწე ურვულ სხვა ძვეყანაში, კაც საჭირთა ახსოვდეთ სახსვდრო
შეტაქვბათა საზღვარგარეთელ მოუვარკულთ.

ი. სვანიძე
გეოგრაფიული
გეოლოგიური

(საანგარიშო მოხსენებებიდან, საქ. კ. ბ. (ბ) მე XVIII ყრილობაზე)



ჩვენში ერთია ფრონტი და ზურგი,
ორივე მტკიცეა, შეურყეველი,
სტალინურია ჩვენი რიგები —
მტერთა ზრახვების ფერფლად მქცეველი!

დიდი სამშობლოს მძლე სიყვარულით
გვანთებს სტალინის დიადი დროშა,
ენტუზიაზმით გვენთება გული
აღმშენებლობის და ბრძოლის დროსა.

დიდაგოგიკისა

(მოგონებებიდან)



1936 წლის
თებერვალი

იმ დღეს მზიანი დარი იდგა. ჭიათურის მა-
ლაროებიდან მუშები ჯგუფებად გამოდიოდ-
ნენ. მალაროდან მალაროში გაირბენდნენ, მუ-
შებს საშუაოდან ხსნიდნენ. ისევ ჯგუფდუ-
ბოდნენ. უცდიდნენ ვილაცას.

აგერ მალა აწეული გაშლილი დროშა
გამოჩნდა. წითლად გავივდა. ჯგუფის სა-
თვეში აფრიალდა მზის სხივებზე ვარაყიანი
ასობები, — „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა,
შეერთდით“ — აბზინდა და მუშებში ხალის-
მა დაიბრინა. „წავიდეთ, ნულარ ვიცდით!..
იძახდნენ და დაღმართზე ვიწრო ბილიკით
შავ ხაზად ეშვებოდნენ.

დაბლობში, მდინარე ყვირილა რომ ჭია-
ყელსავით იკლაკნება და შავ, სქელ ტალ-
ღებს მიათამებებს, — მის ნაპირად, რიყეზე
გაფანტული ჩოხიანები და შექხალათიანები
ერთმანეთში არეულან, ჯგუფებად დგანან,
მასლაათობენ და ვილაცას უცდიან, სერები-
დან ბილიკებზე შავ ხაზად მომავალ მუშებს
ნესტყერიან და წითელ დროშებს რომ ამჩნე-
ვენ, გული ჩქოროლავს, საფეთქელი გამაღე-
ბით სცემს...

ერთი ჯგუფი ახალგაზრდებისა, მეტად
მოუსვენრობს:

— რა იქნება ბიჭო დღეს, ჰა!... — სიხარუ-
ლით ხტის ერთი მათგანი.

— კობა, ხომ გინახავს?

— არა!

— კობა არ გინახავს? რაფერ მოხდა მე-
რე?

— აქ არ ვყოფილვარ, ხომ იცი ახლა არ
ჩამოვედი?

— კი, მაგრამ...

— როდის მოვა?

— მოსულია ძმაო, ეგერაა, იმ ჯგუფში!
ყბალახი რომ აქვს თავზე შემოკრული!...

— რავა, ჩვენებურად აცვია მერე?

— აბა რა გეგონა!

ახალგაზრდა შეხტა და ჯგუფისკენ გაექა-
ნა, გარს უტრიალა. აქედანაც შეხედა, იქი-
დანაც.

— მენშევიკები ვერ გაბედავენ დღეს გა-
მოსვლას! — გაისმა ჯგუფში მოლაპარაკე-
ს სიტყვები.

— მოვიდენ კი?

ეგერ არ არიან? ქოლგები უკავიათ ხელ-
ში, მზისაგან არ გაეშავდეთო... — იხუმრა
ერთმა.

ახალგაზრდა, კობას უტრიალებდა გარშე-
მო, მას აკვირებდა კობას სადა ჩაცმულობა
და უბრალო მუსაიფი ამხანაგებში.

სერებიდან ჩამოდიოდნენ მუშები, შუა ად-
გილას დროშებს მიიტანდნენ და ტარით მი-
წაში ჩაარქობდნენ. კიდევ და კიდევ მოდიო-
დნენ მალაროებიდან მუშები... რიყე მოსუ-
ლებით იფარებოდა, მხრიბი მჭიდროვდე-
ბოდა..

გაფანტულები ოცრად ამოძრავდნენ,
დროშებისკენ გაემართნენ, შექურდნენ, შემ-
ჭიდროვდნენ.

ტრიბუნაზე ავიდა მხრებზე თეთრი ყაბა-
ლახის ტოტებით დაფენილი კობა. შეკრე-
ბილ მუშებს თალი გადაავლო.

მათაც სული განაბეს, ლაპარაკი შესწყვი-
ტეს. მისკენ მიაპყრეს ალგზნებული თვალე-
ბი. მხოლოდ ერთ ნაპირას ქოლგეანები მო-
უსვენრობდნენ. ესენი იყვნენ მენშევიკები,
რომლებიც ყოველგვარი პროვოკაციებით
ებრძოდნენ კობას, მაგრამ ყოველთვის და-
მარცხებულნი რჩებოდნენ.

კობა ლაპარაკობდა დინჯი, დამაჯერებ-
ლი კილოთი. ხმას არც აუწევდა, არც
დაუწევდა და რაკი ერთხელ ჩაიგდებდა მსმე-
ნელებს ხელში, ისე გახვევდა თავის ლოლი-
კურ აზრებში, როგორც მებაღური თევზს
თავის ბადეში.



დღის წესრიგში გასარკვევი იყო ბოლშე-
ვიკური წესდების პირველი მუხლი: ვინ ით-
ვლება პარტიის წევრად და რა არის ორგა-
ნიზაცია.

ის ლაპარაკობდა ალგზნებით, მუშებისათ-
ვის გასაგები, მდამიო ენით. მის სიტყვებში
არ იყო აწეული ფრაზები, ზედმეტი სიტყვა,
არამედ, ერთი აზრი მეორეს მიყვებოდა ლო-
ლიკური დალაგებით...

სულგანაბული უსმენდნენ. ხოლო განაბი-
რა ჯგუფში, ქოლგებით რომ მზისგან სახეს
იფარავდნენ, ერთი თავმოტვლებილი და
წვერიანი მენშევიკი ფაცურობდა. მას ქა-
ლალის ნაკუწები გაეშალა ხელის გულზე
და მოკლე ფანქრით ზედ რალაც შენიშვნებს
იწერდა.

„ჰო, აჰა!... მასთეა სწორედ!...“ — წამოი-
ძახებდა ხოლმე.

მის გარშემო მდგარი გარკვეული უმ-
ჯერდნენ მას და მის წამოახილს რომ ის-
მენდნენ, ცმუკავდნენ, ერთმანეთს გადახე-
დავდნენ, მნიშვნელობით მისკენ გაიხედავ-
დნენ და ჩაილაპარაკებდნენ: „ნახე, ნახე,
როგორ ჩაიჭერს კობას!...“ „აბა ეგ თუ გვიშ-
ვლის დღეს, თორემ ცუდათაა ჩვენი საქ-
მე!“ — ისიც ვრძნობდა, რომ მისკენ იყო
მიპყრობილი ყურადღება, უფრო მეტად აფ-
რიალებდა ქალალის ნაკუწებს და გამაღე-
ბით სწერდა გაურკვევე სიტყვებს. გამხვევ-
ბას რომ ვრძნობდა, ისიც ცმუკავდა.

კობამ კიდევ ერთხელ გაიმეორა უკანას-
კნელი ფრაზა. თითქოს ამოწურა, რაც სათ-
ქმელი ჰქონდა, მარჯვენა ხელის აწევით შე-
სძახა: „გაუმარჯოს მუშათა მძლავრ პარ-
ტიას! გაუმარჯოს სოციალიზმს!“ — და შე-
ჩერდა.

მხურვალე ტაშმა და შეძახილებმა მოიცვა
ჭიათურის კლდოვანი სერების მალაროები,
ქუხილივით საღლაც განმეორდა და მერე
შორს მთების იქით მიწყდა.

— ვის გნებავთ სიტყვა? — შეეკითხა
ხალხს მიტინგის თავმჯდომარე.

სიტყვა არავინ ითხოვა.

ქოლგეანებმა თავმოტვლებილს შეხედეს.
ის გაშტერებული, ჯიუტი სახით, შორს იც-
ქირებოდა. უკვირდათ, რატომ არ ითხოვდა
სიტყვას.

„თუ სიტყვა არა, იქნებ შეკითხვა უნდა
ვისმეს?“

მაშინ აცმუკდა თავმოტვლებილი.

— შეკითხვა მინდა... — ყველამ მისკენ
მიხედა. ქოლგეანებს თვალეები გაუბრწყინ-
დათ, მხრები ერთმანეთისაკენ მისწიეს. თვი-
თონაც შესძახეს:

— ჰო, შეკითხვა გვინდა, შეკითხვა... ჰო!..

„აბა გზა მიეცით, გზა“. და თავმოტვლე-
ბილი გაპობილ მხრების ღობეში გაუშვეს.
ისიც ქანაობით წინ წავიდა, ტრიბუნასთან
მივიდა, შეჩერდა, ქალალის ნაკუწი მოი-
მარჯვა, ჯერ კობას შეხედა, მერე ქალალ-
ში ჩაიხედა, ისევ კობას შეხედა და შეე-
კითხა:

— პარტია ხომ პარტიაა?..

— დიალ, პარტიაა — უბასუხა კობამ.

— ორგანიზაცია, ხომ ორგანიზაციაა?

— დიალ, ორგანიზაციაა!

— დილა მშვიდობის! მეც ეს მინდოდა! —

თავი დაუკრა, წელში მოიხარა, უკან გა-
მობრუნდა და გამარჯვებულივით მივიდა
ქოლგეანებთან... მას გაჰყვა მუშების დამცი-
ნავი ხმები. ხოლო ქოლგეანები, თავმო-
ტვლებილი „ორატორისაგან“ შერცხვენილნი,
კუდამოძულებულნი წავიდნენ.

დ. სულიაშვილი



ეროვნული
მეცნიერებათა
აკადემია

უკანასკნელი გაკეთილიც დასრულდა.
ყველა შინ მიეშურებოდა.
სკოლის შენობა თანდათან ცარიელდებოდა და მოწაფეთა ხელნაწერი ყურნალის კითხვის გამო უსადილოდ დატოვებული სოსო შინ მიმავალ ამხანაგებს დაღვრემით გასცქეროდა.

სამეცადინეო დღის დამთავრებით გახარებულ ბიჭებს მარტო სიარული ეხარებოდათ. სულ დაავიწყდათ, რომ მათი ამხანაგი უსადილოდ რჩებოდა და შინ უმისოდ ბრუნდებოდნენ; ცელქნი და მოუხვეწარნი მაინც არა სცხრებოდნენ, თავთავის უბნელებს გაფაციცებით ეძებდნენ, რომ ერთად ეარათ და გზადაგზა თამაშობით გული ერთხელ კიდევ ეძლოთ. ყველაზე ადრე დრახინას მოაგონდა თავისი უსამართლოდ დასჯილი დოსტი და მაშინვე მოძებნა. ის დერეფანში ფანჯარასთან განმარტოებით იდგა და ისე იყო ფიქრად წასული, რომ ამხანაგის მოახლოვება არც შეუტყვია.

— ჭოო, მოდი ერთი რამა ვქნათ! ეგ ვერანა ყურნალი მე მაქვს და ბრალსაც მე ვიდებ, ჰა?.. — კი არ უთხრა, შეეხვეწა დრახინა და მერე ჩვეულებისამებრ ერთბაშად მიახლა: — ბეზაბედაც მე დავჩრები!

მაგრამ ძმაკაცმა მისი წინადადება შორს დაიჭირა და ჯიუტად შემოჩენილი ბიჭი თავიდან რომ მოეშორებინა, უკმეხად შეეკითხა:

— ვითომ რატომო?

— იმიტომ რომა... იმიტომ რომა... — სიტყვას სიტყვა ველარ გადააბა და შავი თვალები უმწყოდ აახამხამა. — იმიტომ რომა, მარტო შენ რათ უნდა დარჩე, ჰა?..

— ჩვენც დავჩრები!.. ჩვენცა!.. — ჩამოერივნენ ახლა სხვებიც.

— სწორია, ბიჭებო!.. აი ეგ მომწონს!.. — დაიძახა ლადომაც, ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის!.. მოდი ყველანი დავჩრები, ჰა?.. ემაგ საქმეში ჩვენი კლასიც მხარს დავიჭერთ!..

ბევრი იდავეს, ითათბირეს, მაგრამ ბოლოს საქმე იმით გათავდა, რომ ყველანი თავთავის სახლებში წავიდნენ და სოსო სასჯელის მოსახდელად მაინც სკოლაში დარჩა.

დრახინა ჯერ ისედაც არ იყო დამდგარი ხასიათისა და, შინ რომ მივიდა, სულ დაჰკარგა მოსვენება. ოთახიდან ოთახში უშნოდ დაბორიანდებდა და არ იცოდა რა ელონა, ან რით დახმარებოდა ტყვედ ჩავარდნილ თავისს ამხანაგს. სინიღისი ჰქენჯნიდა, რომ აი, ის შინ არის, ისაღილებს კიდევაცა და იმისი ამხანაგი კი დატუსაღებულია და მარტოდ არის ციხეში.

ბიძის სახლში, სადაც ის „ნახლებნიკად“ ცხოვრობდა, გვიან სადილობდნენ, ამიტომ სუფრის გაშლაც კარგა ხანს დაყოვნდებოდა და მანამდე იმას რა მოათმენინებდა? სასადილო ოთახში შეიპარა და ბუფეტის კარი

ჩუმად გააღო, ძეხვისა და პურის რამდენიმე ნაჭერი ქალაღში სათუთად გაახვია და ჯიბეში საჩქაროდ ჩაიტენა.

გუშინ, სოფლიდან ჩამოსული ძამა ისევ შინ რომ ბრუნდებოდა, გამოთხოვებისას, ერთი სპილენძის შაურიანი აჩუქა. ამ ფულით მას რეზინის შეძენა უნდოდა შურდულის გასამართავად, მაგრამ ახლა გადაიფიქრა. გზად კაკივის საშაქარლამოში შეუხვია. ერთი ბოთლი ლიმონათი იყიდა და იქვე გაახსნევინა. წყალი ჰაერისაგან რომ არ გამოფიტულიყო, ბოთლს თავზე ცერი მაგრად დააჭირა და ისევ სკოლისაკენ მოჰკურცხლა.

საკანს რომ მიუახლოვდა, ფანჯრის ქვეშოდ ერთი აქეთ-იქით გაიარ-გამოიარა, მერე შედგა და ფრთხილად დაიძახა:

— სოსო, ჰაი, სოსოუ!..

ტუსაღმა მაშინვე იცნო ამხანაგის ხმა და ფანჯარას გაკვირვებული მოადგა.

— ეს შენა, დრახინ?..



— მე, რაა!..

— აქ რა გინდა?..

— არაფერი!.. რა უნდა მინდოდეს!.. და მერე ერთბაშად გული მოუვიდა: — ბიჭო, რა პირი დაგილია და იგრე მიცქერი?.. ერთი ეგ ფანჯარა გააღე და, აჰა, ეს გამომართვი, თორემ გაზი სულ წაუვიდა და ეგ არი!.. — ხორაგის მიწოდებასაც რომ აპირებდა, შეეყოვნა, ეს ოხერი ცერი ბოთლის ყელში ისე მაგრად ჩაეჭურთა, რომ უკან ველარ აძრობდა. ბევრი იწვალა, ბევრს ეცადა და ბოლოს, როგორც იქნა, ამოჰგლიჯა. ბიჭს მიაწოდა და თან ნატყენ თითს სიმწარისაგან ხან ენით ლოკავდა და ხან სულს უბერავდა.

ყველაზე მეტად ტუსალი ლიმონაღმა გაახარა, მაგრამ შეეყოყმანდა, არ იცოდა, — ისიც ჩამოერთვა თუ არა.

— ჭო, ე ლიმონათის ფული სადა გქონდა?..

— ფოშტა გავცარცვე!.. მოუშურებოდა სულს, მერე სულის ბერვით მომუშებოდა სული ჯიბეში ჩაიღო და უკმეხადვე შეუტია:

— სქამე, ჭოო, სქამე, ბევრს ნუ ლაპარაკობ!..

სოსომაც მეგობარი აღარ გააწბილა და ჭამას შეუდგა.

თვითონ მშვიერი დრახინა კედელზე მხარით მიყრდნობილიყო და დოსტის ქეიფს ანერწყვებული შესცქეროდა, ლიმონაღსაც რომ დაეწვავა, მოთმინება აღარ ეყო და ისე დაუტატანა:

— კარგი ერთი დაა!.. ნამუსიც კარგი საქონელია!.. რო გაუხვი რაა, ცოტა მეც დამიტოვე!..

სოსომ ბოთლი მაშინვე მოიშორა, ამხანაგს უსიტყვოდ გადააწოდა და თვალი თვალში რომ გაუყარეს თავდავიწყებით გაღიხარხარეს; დრახინას მეტიც არ უნდოდა, მაშინვე ფანჯარაში გადაცოცდა და ცოტა ხანს შემდეგ, ორნივე მაძღარნი და ბედით კმაყოფილნი, ხელნაწერ გაზეთს ხმამაღლა კითხულობდნენ.

უცრად დრახინამ კითხვა შესწყვიტა და ნაღვლიანად წამოიძახა:

— ჭო, რათ არი ე ცხოვრება იგრე უსწორმასწორო, ჰა?.. რათ არი იგრე, რომა ზოგი უღირსად ბედნიერია და ზოგი კი უბედური!.. რათ იხაგრებიან გლეხები?.. დღესა და ღამეს ასწორებენ, შრომაში წელი სწყდებათ და მაინც ბეჩავადა სცხოვრობენ... აი, შენ რო ქიტას ამობდი, იმ მეთევზესა!.. რათ უჭირს იმას ცხოვრება?.. ან ეს როგორი მთავრობაა, რომ ყველა იმას ავიწყებს?.. ყველა, ყველა, მაგრამ ე ღმერთი რაღას ფიქრობს, რო ქვეყანას არ ეშველება, ჰა?..

სოსომ გაზეთი უბეში შეინახა და ისე სთქვა დინჯად:

— იცი, დრახინ, რას გეტყვი?.. ჩვენ გვატყუებენ, — ღმერთი არ არსებობს!.. სუ იმ მღვდლების გამოგონილია!.. დრახინა შეხტა.

— იჰ, კარგია დაა!.. — წამოიძახა შიშით გულგახეთქილმა და სახეზე გაოცება და ეჭვები ერთად გამოეხატა. მერე თავი მოიფხანა, ლიმონათის ცარიელი ბოთლი ყოველ შემთხვევისათვის პირში ჩაიწურა და, გარეთ რომ გადაავლო, იკითხა:

— რას ამბობ, ჭოო?

ბოთლი ისე შორს ისროლა, რომ მხოლოდ ახლა გასკდა.

დრახინა მაინც არ სცხრებოდა:

— ჭოო, ღმერთი არის, — ქვეყანა მაინც უბედურია და, რო არ იყოს, ზო სუმილად დავიღუპეთ!.. ნეტა ი ბოთლი არ გაგვეტეხა და, ქიშიშიში გადავცვლიდით!.. მაშ ე მზე, მთვარე და ვარსკვლავები რაღამ გააჩინა?..

— ეეჰ, დრახინ, დრახინ, — ამოიოხრა სოსომ ჯავრიანად, — რაც ქვეყანა და გაჭირვება გაჩენილა, ღვთის ხსენებაც მას აქეთ



— დავილუპეთ!.. იზლება ჩვენი მუშაობა!
 — რა მოხდა, ამხანაგი გადასახლეს?
 — კი არ გადასახლეს, გადასახლებიდან დაბრუნდა... კობა ჯულაშვილი.

მოდის! მართლა რო ყოფილიყო, ამ უსამართლოდ გაჭედო ქვეყანას როგორ არ მიეშველებოდა, ჰა?...
 — ბიჭო, რაებს ამბობ, მეთქი?... აქ ეკედლები თავზე არ დაგვენგრეს და!..
 — მე კი ეგრე მითქვამს და!..
 — ჭოო, შენც ლადოსაფე ურჯულო ყოფილხარ, განა!.. მითხარით მაინცა სად გათათრდით ეგრე?..
 სოსომ ერთხანს პასუხი არ გასცა, მერე ისეც დაიწყო:
 — თურმე ერთი ჭკვიანი მოხუცი ყოფილა!.. იმას ერთი წიგნი ნემეცურად დაუწერიდა... მთელი ქვეყნისა და ამ ცხოვრების ამბავიც იქა წერებულა...
 — კარაბადინი იქნება! — დასკვნა დრახინამ.
 — კარაბადინი კი არა... კაპიტალი ყოფილა!..
 — ე კაპიტალი რადაა?
 სოსომ პასუხი არ გასცა, — თვითონაც არ იცოდა რა იყო. მერე სახე დიდებით ჭკვიანურად შეიჭრა და დინჯად სთქვა:

— თურმე იმ წიგნში ყველაფერი წერებულა... წაიკითხავ, თვალები მაშინვე აგებოლებდა, — ჩვენ კი ეგრე ბრძებვივით დავდივართ.
 — კარგია და!.. — არ დაიჯერა დრახინამ, გუნებაში კი სული მას ფიქრობდა: — ხედავ, ამ ბიჭმა რალაცას მიაგნო და მე კი ისევე იგეთივე ხებრე ვარ... და მერე ხმამალა დაასკვნა:
 — სომხის კარაბადინი იქნება მეთქი ბიჭო!..
 სოსომ არა უპასუხა რა.
 — თურმე, — განაგრძო ცოტახნას შემდეგ: — შიგ ჩვენი ამბებიც წერებულა, — აი, ქიტასი, ჩვენი და, ეგრე გასინჯე, მაპაჩემისაცა.
 ეს კი ნამეტანი იყო. დრახინა გულშიც მოუვიდა:
 — ბიჭო, რეებს ბოდავ? — აყვირდა იგი.
 — იმ ლემენტმა მამიშენის ამბისა რა იციას, სიზმარში ხო არ ნახედა?..

სოსო გაჩუმდა, — მართლაც და საიდან უნდა სცოდნოდა იმ მოხუცს იმისა მამის ამბავი?..
 ამ დროს ქუჩიდან ყაყანიც მოისმა.
 ყური მიუგდო, — ქიტას ხმა მაშინვე იცნო და ისე გაეხარა, თითქოს მისი მხსნელი ის იყო. ფანჯარასთან მიიჭრა და რაფაზე გადაკიდებულმა ხმამალა გასძახა:
 — ძია!.. ძია!..
 — რა იყო, ბიჭო, გეძებთ ვერ გვიბოვნიხარ!.. აქამდე მანდ რა გინდა?.. — შეეკითხა გაკვირვებით, მაგრამ ბალღმა სიტყვა ბანზე აუგდო და ისე შეეხვეწა:
 — ძია, ძია, თუ ჩემი დედილო ნახო, ერთი უთხარი, შენი შეილი სოსია ციხეში ზის და მალე დაგიბრუნდება-თქო!..
 — რატომა, ბიჭო, რატომა? ჯერ ციხეში რა გინდა?.. ცოლო ხარ, რა დროს შენი ციხეა? — მაგრამ კარიც გაიღო და საკანში მასწავლებელი შემოვიდა. გაოცებული კარებშივე შედგა, — ტუსალი ერთი ჰყავდა და ახლა ორი დახვდა.

დამსა შენგელანია



„სისონაი დარჩიაი ნაქებია ბიჭობაში“—ო—ალიონამდე გაჰკივიან გურულები ცნობილ მამაჯანოვის რესტორანში. თავაწყვეტილ ქეიფს ბოლო აღარ უჩანს. კახურს ბაღდადური შეჯიბრება. კულაშელ! მეარღნეს — შემოქმედელი მეჩონგურე. შემოქმედელი სჯობნის კულაშელს და ზოგჯერ იმერლები ბრაზით სკდებიან.

დოვლათიან ვაჭრობით გალაღებული მამაჯანოვი ციბრუტით ტრიალებს. ამინდი ხელს უწყობს, ჩაზამთრების გრძელი ღამეებიც.

ღვთისანაბარად მიგდებული ბათუმელი მუშები ღვინის ოხშივარით იხალისებენ დარდიან გულს და მამაჯანოვის სისხარულს საზღვარი არ უდევს.

ირგვლივ სიწყნარეა. ზღვაც აღარ შფოთავს. გემთა სირენების ხმა თუ შეაშფოთებს ზოგჯერ ბათუმელებს, ან კიდევ შუადღის აღსანიშნავად გასროლილ ქვემეხის კენტი დაქუხება.

მამაჯანოვის რესტორანში ესეც არ აღწევს. არღნის კენესა და გურული კრიმინალური ქვემეხის ქუხილსაც ფარავს. ყავახანებში განუწყვეტლივ აჭახუნებენ ნარდს. ზოგან ბანქოს თამაშობენ. მოთამაშენი ხშირად უკანასკნელ გრომს აგებენ და უქუდოთა და უპალტოოდ გამოდიან ყავახანიდან. ზოგჯერ ფეხშიშველიც. უქუდობებს პოლიციაში ერეკებიან, თავფეხშიშველებს პირდაპირ საგიჟეში...

მამაჯანოვის რესტორანში ყველაფერი რიგზეა. თუ ვინმე აღრე დაითრობა, გამოძინებას იქვე მოახერხებს, თუ ნაღდი შემოაკლდება, მამაჯანოვი სანისიო დავთარს გადაშლის და დანახარჯს ორმაგად დააწერს ნაღდშემოღებულ მუშტარს.

ქვეცერა მიკიტნებს ჭირივით სძულთ ნისია... მამაჯანოვი ნისიაში ხედავს უეჭველ მოსაგებს და სანისიო დავთრის იმედით წათამამებული მუშტრები გათენებამდე გაჰკივიან „ვენაცვალე ნისიასო“.

ამათ შორის დიდი უმრავლესობა ქარხნის მუშებია. შაბათიდან - შაბათამდე აღებულ ხელფასს კვირახალიდან ორშაბათ დილამდე ანიავებენ და ერთი შაბათის ხელფასსაც მამაჯანოვის სანისიო დავთარში სტოვებენ ვალად.

მენშევიკებმა რესტორანის მაშლობლად საკვირაო სკოლაც გახსნეს. იქნებ უფასო სკოლაში მუშები მოვიზიდოთო, მაგრამ რაკი მიზანს ვერ მიადწიეს, დღეს სკოლის მესვეურნი და ბათუმის ცნობილი მენშევიკები მამაჯანოვის რესტორანში დამხმარან და მუშებს მოუწოდებენ: ლოთობას თავი გაანებეთ, სასწავლებელში მობრძანდითო.

სოსო და კოსტა ხონელიც სწორედ ამ დროს შემოვიდნენ რესტორანში. მათ მამაჯანოვი კარებშივე შემოეგება. სოსომ საჭირო ადგილი იკითხა. იქიდან სამზარეულოში შეიხედა, უკანა კარებს თვალი დაატანა და ჭურჭლის მრეცხავს შეეკითხა, ეზოში საიდან გაისვლებო.

მორჩა დათვალეობას თუ არა, დარბაზში გამოვიდა, მყუდრო კუთხე შეარჩია და ხონელთან ერთად მაგიდას მოუჯდა. სოსომ თვალი მოავლო რესტორანში მყოფთ. რამდენიმე ნაცნობი მუშა შენიშნა, მათ შორის გუშინწინ მოწინავეთა კრებაზე არჩეული წრის ხელმძღვანელნი, ყველას სათითაოთ რაღაც ნიშანი მისცა და ჩქარა მათი მაგიდა რესტორანის სიგრძეზე გაიჭიმა.

— სადილი და თითო ბოთლი ლუდი. — წაიდეს დაკვეთა ოფიციატებმა.

სანამ სადილს ხელს დაყოფდნენ, მამაჯანოვი მათს დასწრით დაუსვენს გვერდით (მამაჯანოვის რესტორანის ქალაქისთვის მათთვის და პოლიციელთა თავდასხმის არავის ეშინოდა).

— ამბობენ მამაჯანოვი ნისიებს ბლომად აძლევს ქარხნის მუშებსო, — დიმილით ჰკითხა სოსომ.

— მეტი რა ჩარა მაქვს, როცა ნაღდი არ არის, მუშტარს უარს ხომ არ ვეტყვი.

— უარსაც ეტყვი და არც ერთ ქარხნის მუშას ბოთლზე მეტს ღვინოს არ მისცემ. ეს პირველი.

— ძალიან პატიოსანი. გნებავთ დავთარი სულ დახიო.

— ეგ შენი ნებაა, მხოლოდ დღეიდან არც ერთი გროში ნისია აღარ უნდა გასცე ქარხნის მუშებზე. ეს მეორე.

— ძალიან პატიოსანი... ძალიან მშვენიერი...

— მესამე და უკანასკნელი ის, რომ შენს რესტორანში ზოგჯერ კრების გამართვის საშუალება უნდა მისცე მუშებს... რასაკვირველია, რესტორნის დაკეტვის შემდეგ.

— ბაშუსტა, ჩემი თავი გენაცვალეთ... მე გამიგია, თქვენ რაღაც პარტია გქონიათ, საციალისტური პარტია... არ შეიძლება ჩვენათ მიმილოთ, სრავუმ ათი ჩვენსტვა ვიყიდამ აი... პაი, საწვევრო რამე რაც კი იქნება, გნებავთ ერთი წლისა წინწინ მოგართოთ.

— არა, ძია-ჯან, ჩვენ საწვევრო რამეებს არ ვაგროვებთ, მაგვარი პარტია, აი... — მიუთითა სოსომ რამიშვილსა და კარლო ჩხეიძეზე... — იმათ პარტიაში შედი, იქ ოცი პაი შეგიძლია შეიძინო.

— მართალს იძახი? — მამაჯანოვმა მენშევიკების მაგიდას შეხედა. — ეს „პაჟალუსტა“ ხალხი რაღაც არ მამწონს, ჩემმა მზემ... მაგათი პარტია ხეირს არ მამცემს... თუ თქვენ ვაკანტნი მესტა და გირჩესთ, მეც მიგულვით რაღა?!

წონელს გაეცინა. სოსომ თვალი ჩაუკრა არაფერი წამოგცდესო. მიბრუნდა და მუშებთან გააბა ხმადაბალი საუბარი.

ჩქარა ჩხეიძისა და რამიშვილის გარშემო მსხლომი მუშებიც ამათ შემოუერთდა და ვიწრო თათბირი კინაღამ მიტინგად გადაიქცა. ჩხეიძემ წყენით გადახედა რამიშვილს. იქ თავის მახლობლად დარჩენილი ორი მუშა იხმო და მეზობელ მაგიდაზე მსხლომთ დეპუტაცია გაუგზავნა...

დეპუტაცია პირდაპირ სოსოსთან მივიდა. როცა სოსომ სიტყვა დაასრულა, ერთმა დეპუტატთაგანმა სხვების გასაგონადაც ხმამაღლა მოახსენა თათბირის ხელმძღვანელს: პატივცემულო ბატონო სოსო! ბატონმა კარლო ჩხეიძემ და ბატონმა ისიდორე რამიშვილმა გთხოვათ დღეს საღამოს ინახულოთ ისინი სასწავლებლის შენობაში, სადაც ბატონი ისიდორე ასწავლის მოწაფეებსა და მუშებს, ფრიად სერიოზულ საკითხებზე მოსალაპარაკებლად.

დეპუტატი გაჩუმდა. დუმილმა კარგა ხანს გასტანა.

— მორჩით? — შეეკითხა სოსო.

— დიახ, ბატონო!

— გადაეცით ბატონ კარლო ჩხეიძეს და ბატონ ისიდორე რამიშვილს, რომ მე არავითარი საქმე არა მაქვს არც ერთთან და არც მეორესთან, არც ფრიად სერიოზული და არც ფრიად უმნიშვნელო... ამიტომ — აუწია ხმას სოსომ, — თუ ბატონ რამიშვილსა და ბატონ ჩხეიძეს რამე გამოსარკვევი საკითხები აქვთ და ჩემთან მოლაპარაკება აინტერესებთ, კეთილ ინებონ და თვითონ მობრძანდნენ ჩემთან.

დეპუტაცია წამოდგა და პასუხი მოახსენა გამომგზავნთ.

წარბეჭეტილი წამოიშალნენ მაგიდიდან ჩხეიძე და რამიშვილი. შავი შლიაპები დაიხურეს და განხეც არ მიუხედავთ, რესტორანის კარი გაიჯახუნეს.

სოსოს უღელავებში ჩაეცინა.

1879 წელი

— ქალო თებრო, ბაზარში მიდისარ? გა- მარჯობა.

— გაგიმარჯოს ჩემო ნინო. ბაზარში კი არა და ე ჩემი ქალი მიმყავს პარტნიხას- თან. შეშპირდა შაგირდათ ავიყვანო. იქნება ქრაკერვა ისწავლოს. ხო იცი ჩვენი გაქირ- ვების ამბავი. პურის ფულსაც ძლივს ვმო- ულობთ.

— რომელთანა? შინ შემოდი, ამ სიცივეში გარეთ რასა დგენარ!

— იპ, გენაცვალე, მეჩქარება კია და...

— შემო მეთქი, არ დაგივიანდება, აი აგერ ბუხართან დაჯე, ცოტა დაისვენე! ბალ- დიც გათბება, როგორ გალურჯებულა სიცი- ვით. ფხსაცმელში წყალი ხომ არ შესდის. მოდი შეილო, დაჯექ, ფეხები გაიშრე. ლამა- ზი ქალი დადგება შენი ქალი, თებრო, არ- ტემს მზემა.

— მაგის სილამაზე ჩირადაც არ მიღირს. იქნება ხელობა ისწავლოს და მერე როგორმე თავისმა ხელობამ პატრონიც აშონინოს, თო- რე უმზითოთ ახლა ანგელოზებსაც აღარ უშვებენ საყდარში. ვაჟი რომ ყოფილიყო კიდევ ჰო... თუმცა ჩვენთვის არც ვაჟია დი- დი ბედენა.

— ქალო, გაიგე მართლა ამილახვრიანთ კესოსა ქალი ჰყოლია, ბრალი არ არის?

— ჩვენს კეკესა კიდევ ვაჟი.



— აბა კეკე?

— აი ბესოს ცოლი რომ არი, ჯულაშვი- ლისა, განა არ იცი?

— ვიცი, როგორ არა. ვაჟი ჰყოლია?

— მაშა—ბრალი არ არი?! ახლა ი ამილახ- ვრიანთა რო ვაჟი ჰყოლოდათ სუ იმასა ნატ- რულობდენ, ვინ იცის რა გამოვიდოდა, ან პოლკონიკი გაიზრდებოდა, ან დობტური, ან კიდენ შირიო სულია. აბა ლარბი კაცის შეი- ლი რა უნდა გამოვიდეს, მამამისის ხელობას თუ ისწავლის თორე...

— შენ ეგა თქვი და! ლარბი კაცის შვი- ლის ბედი ეგაა.

— ვითომ არასდროს არ უნდა ეშველოს ჩვენისთანა ლარბ ხალხსა? რას იტყვი ნინო? სულ ასე გაქირვებამი უნდა ვიყოთ? ი და- ლოცვილ ღმერთმა თუ კი ეს ქვეყანა გააჩი- ნა, ბარემ სამართალიც გაეჩინა ჩვენისთანა ხალხისთვის, ღმერთო რუ მიწყენ, ღმერთო რუ მიწყენ, ჯვარი აქაურობასა.

— იპ, რა ვიცი გენაცვალე, მე ამ ქვეყნი- სა ვერა გავიგე-რა.

— ვერც მე ვერა გავიგე-რა შენი ქირიმე. მდიდარი კაცის შვილები სულ კაი სწავლას ამთავრებენ, დიდი სამსახურიც იმათა აქვთ და ქონებაცა. მე რო ასლა შეძლება მქონდეს ამ ჩემ თალოსა კარგა პანციონში მივაბარებდი, ფორთოპიანოზე დაკვრას ის- წავლიდა და მერე ერთი მდიდარი ვინმე შეირთავდა. ღარბი, უსწავლელი და ისიც პარტნიხა აბა ვის რათ უნდა, მაგრამ რას იზამ, რომ გაუჭირდეს თავის ლუკმა პურს მაინც იზოვის თავის ხელობით. უი ქა, მე აქ ლაპარაკს შევეყვი და ვინ იცის კიდევაც დავგავიანდეს. წამო შეილო, წამო, შე უბე- ლურ დღეზე გაჩენილო, ჩვენს საქმეს ვე- წიოთ.

1939 წელი

— ქალო თამრო, ბაზარში მიდისარ? გა- მარჯობა.

— გაგიმარჯოს ჩემო მარო, ბაზარში კი არა და ე ჩემი ნუნუ მიმყავს, თიატრში წარ- მოდგენა არიო და მთელი სკოლა იქაა. მეც იქ მივდივარ.

— თიატრში? განა ჯერ აღრე არაა. შე- მოდი ცოტა ხანს, რამდენი ხანია არ მინახი- ხარ.

— მეშინია არ დამივიანდეს.

— იპ, აბა ჯერ რა დროსია. ჩემი ვაჟიც უნდა წავიდეს. ბარემ ერთად წადით. აი აგერ დასხედით, ბუხართან. შეილო, ეგ პალ- ტო გაიძრე, თორემ გარეთ რომ ვახვალ ვა- ცივდები. ლამაზი ქალი დადგება შენი ქალი ჩემო თებრო. ხომ კარგად სწავლობს?

— ფრიადოსანია.

— აი ყოჩაღ. რა გიჭირს ჩემო თამრო, დამთავრებს სწავლასა, ან ექიმი გამოვა ან ინჟინერი. მე შენ გეტყვი და ოჯახს არ მი- ხედავს. ნეტავი მეც ქალი მყოლოდა. მშობ- ლებისთვის ქალიშვილი ნამდვილი ბედნიერე- ბაა.

— იპ, ორივე კარგია, გენაცვალე. ოღონდ კი ისწავლოს. ახლანდელ დროში, თუ ზარ- მაცი არა ზარ და სწავლის უნარი გაქვს, ყო- ველთვის წინ იქნები. გინდა ქალი იყო და გინდა ვაჟი. ძველი დრო ხომ არარის. დედა ჩემი თალო იგონებს ხოლმე სტალინი რო დაიბადა იქიდან მახსოვს პარტნიხასთან მიე- ყავდი დედაჩემს შეგირდათო. რაც მე მაშინ სიმწარე მინახავს, მტერსაც რუ ანახოს იმდენ- იო. ახლა იმის შვილისშვილის შვილსა ჰკი- თხე! მფრინავი უნდა გამოვიდეთ!

— არა, მართლა?!

— მაგისმა მზემა. აბა ქალის ჰაერში ფრე- ნას გაიგონებდი? ქებურია რომ ფრენდა პირ- ველად არ გასხოვს? იმან ერთი გიმნაზისტკა ჩაისვა თურმე აეროპლანში, აფრინა და მთე- ლი ქვეყანა იმაზე ლაპარაკობდა, ახლა კი ე თითის სიგრძე გოგო რაებს მეუბნება: საბ- ქოთა კავშირის გმირი უნდა ვაგხდეთ. თუ კი... დაცა, რა გვარია შვილო ის შორს რომ გადაფრინდა?

— გრიზოდუბოვა.

— ჰო, გრიზოდუბოვა, — სუსხელოფერი იცის ამ ეშმაკის ფეხმა, ქვეყნის აზრებს სულ ამისაგან ვგებულობ. ჰო თუ გრიზოდუბოვა 'მორეულ აღმოსავლეთში გადაფრინდა მე კი- დე შორს უნდა გადაფრინდეთ.

— გადაფრინდება, რატომაც არ გადაფ- რინდება.

— იპ, გენაცვალე, მეშინიან, ჰაერში რო დაენახამ ხოლმე აეროპლანს, სულ გული მიკანკალებს შიშით და აბა ის რო ვიცოდე ჩემი ქალიშვილი იჯდეს შიგა ხომ სულა ამომხდა.

— მაგ არაფერია, გაიზრდება და შეეჩვე- ვი. აგერ ჩვენი ნიკოანთ ელო მფრინავი არ არი!

— არა, გენაცვალე, მე ჩემი შვილი ექაბაო მინდა გავზარდო. რომ ჩაიცვამს თეთრ ხა- ლათს და ვაივლ-გამოვიღის პალატებში...

ხომ შეილო...


— წავიდეთ დედა, ახლა დავგავიანდა.

— წავიდეთ შეილო, მაგრამ შენ რომ ლე- ქსი იცი, ის უთხარი ნინოს...

— წავიდეთ კარგი ერთი...

— მითხარი შეილო, მითხარი, თორემ აქ გავიშვებთ.

— სთქვი ახლა, სირცხვილია.



— წავიდეთ, გვავიანდება...

— კარგი ახლა, სთქვი მეთქი. იმდენი ლექსები იცის, იმდენი, რომ... ან რათი, იმახ- სოვრებს... სთქვი!

სალამი ძია სტალინსა, ჩემი სამშობლოს შვილსაო, ჩვენ სოციალიზმს გვაშენებ და მტრებს კი უფროობ ძილსაო. გორია შენი სამშობლო, აქ დავიბადე მეცაო, მინათებს შენი ვარსკვლავი დამყურებს შენი ზეცაო... წამოდი ახლა. დავგავიანდა.

— აი ყოჩაღ, ეს რა კარგი ლექსია.

— თვითონ დასწერა.

— არა შაროლა?

— მაშ.

— წამოდი ახლა დედა, კარგი, გეყოფა ლაპარაკი.

— წავიდეთ შეილო, წავიდეთ. ნახვამდის ჩემო მარო.

ა. ბელიაშვილი

ამ ნომერში მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა მხატვრებმა: ი. ქოქიაშვილმა, დონმა, მ. ლებეშვილმა, მ. თალაკვაძემ და ა. კანდელაკმა.

საკრედიტო კოლეჯია.

რედაქციის მისამართი: ჯორჯიაშვილის 5, ტელ. 8-74-67.

გადაეცა წარმოებას 16/XII ხელმოწერილია დასაბეჭდათ 20/XII. შეკვეთის № 1440. მთავლიტის რწმუნ. № 3086. ტირაჟი 15.000.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს გამბის სტამბა „კომუნისტი“, ლენინის ქ; № 28 კლიშეები დამზადებულია სახელგამის ცინკოგრაფიის მიერ.

„... დამახასიათებელია ის ხმაური, რომელიც ასტვხა ინფლის-საზრუნველისა და ჩადილოეთ-ამერიკის კრესამ საბჭოთა უკრანის ფესახე. ამ კრესის მოღვაწენი ხმის ჩახლენამდე გავყვიროდენ, რომ გერმანელები საბჭოთა უკრანაზე მიდიან...“

ი. სვანიძე

(სანგარიშო მოხსენებიდან სკ. კ. პ. (ბ) მე-XVIII ცრილობზე)

საბჭოთა

№ 19-20

ხელშეკრულება გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის თავდაუსხმელობის შესახებ სსრ კავშირის მთავრობამ და გერმანიის მთავრობამ

რომელის ხელმოკრუნელობენ სსრ კავშირსა და გერმანიას შორის მუვიდობიანობის საქმის განმეხილვის სურვილით და ნეიტრალიტეტის შესახებ სსრ კავშირსა და გერმანიას შორის 1926 წლის აპრილში და-
ლებული ხელშეკრულების ძირითადი დებულებებით,
შემდეგ შეთანხმებას გივლინენ:

მუხლი I

ლაღები ორივე მხრე ვალდებულებას აისრულობს ძალიანობისაგან, ყოველგვარი აგრესიული თავდასხმისაგან ერთმანეთის მიმართ, რომ-
სახელოფიფოტთან ერთად.

მუხლი II

ეს დამდენი ერთმანეთი მხრე ადამდე ახელოფიფოს მხრივ, არავითარ სახით არ დახემა-

III

მთავრობებს მოკავალი იოსათვის, რათა ინფორმაცია რომლებიც მათს



სლართეს ქსელები, სურდათ მოეწყობთ ორ დიდ მეზობლის სისხლისღვრის აქტი;

ჩვენ კი — ბელადის ბრძნული განკრებით აწ სამეფილობა შევქმენით პაქტი.